

ზმნიზედური გამაძლიერებლები ლიტერატურულ ტექსტში და მათი თარგმნის პრობლემა (ჯეინ ოსტინის რომანის “ემა” ქართული თარგმანის მიხედვით)

მარიამ ძეგისაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის ანგლისტიკის მიმართულების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი-ნინო მატარაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი 2021

სარჩევი

შესავალი-----	3.
აბსტრაქტი-----	5
თავი 1. ზმნიზედური გამაძლიერებლები და მათი ტიპოლოგია-----	7
1.1 ზმნიზედა, როგორც მეტყველების ნაწილი და მისი წარმოების მოდელები ქართულ და ინგლისურ ენებში -----	7
1.2. ზმნიზედური გამაძლიერებლების ფუნქცია და გამოყენების სფერო-----	12
1.3. ზმნიზედური გამაძლიერებლების ტიპოლოგია-----	16
1.4. გამაძლიერებლები ლიტერატურში-----	21
თავი 2. ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნის პრობლემა-----	25
2.1. თარგმნის ტიპები-----	25
2.2 . ზმნიზედური გამაძლიერებლები თარგმნის სტრატეგიები-----	29
თავი 3. გამაძლიერებლები ჯეინ ოსტინის რომანში “ემა” და მათი ქართულად თარგმნის გამოყენებული სტრატეგიები-----	30
3.1. ჯეინ ოსტინი-----	30
3.2. გამაძლიერებლები ჯეინ ოსტინის რომანში “ემა”ს -----	34
დასკვნა-----	47
ბიბლიოგრაფია-----	47

შესავალი

მოცემული სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება ლიტერატურულ ტექსტში მოცემული ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნის პრობლემას. ამ ტიპის ლექსიკური ერთეულები ხშირად გვხვდება ლიტერატურაში, უმეტესად დიალოგებში და პერსონაჟების კონკრეტულ კონტექსტში ემოციის გამოხატვას ემსახურება. ამასთან, მათი გამოყენების ინტენსივობა ცალკეული პერსონაჟის მეტყველებაში მკითხველს მის სახასიათო შტრიხებზე შეიძლება მიუთითებდეს. ზმნიზედური გამაძლიერებლები ტექსტის სტილსა და რეგისტრსაც უკავშირდება. გამაძლიერებლები, როგორც ემოციის გამომხატველი ერთეულები, სხვადასხვა ენაში შეიძლება განსხვავებული ლექსიკური თუ სხვა ენობრივი საშუალებით იყოს გამოხატული. შესაბამისად, მათი ერთი ენიდან მეორეზე გადატანისას მთარგმნელები სხვადასხვა სტრატეგიას იყენებენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანია საწყის ტექსტში კონკრეტული გამაძლიერებლის ფუნქციისა და როლის განსაზღვრა და შენარჩუნება სამიზნე ტექსტში.

ნაშრომი მიზნად ისახავს იმ სტრატეგიებისა თუ პროცედურების განხილვას, რომელიც სხვადასხვა კვლევის თანახმად, გამოიყენება ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნისას და მათ საფუძველზე, შერჩეულ ტექსტში გამოყენებული პროცედურების იდენტიფიცირებას.

კვლევაში დასმულია შემდეგი კითხვები: რა პროცედურები გამოიყენება ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნისას საანალიზოდ შერჩეულ ტექსტში? რამდენად არის შენარჩუნებული ამ ერთეულებით განპირობებული თავისებურებები სამიზნე ტექსტში?

ზმნიზედური გამაძლიერებლების ანალიზისას გამოყენებულია კვერკის თეორია, რომელიც ორი ტიპის გამაძლიერებლებს (ინტენსიფიკატორებს) გამოყოფს.

ესენია: საკუთრივ გამაძლიერებლები (amplifiers) და დამაკნინებელი ინტენსიფიკატორები (downtoners), რომლებიც თავის მხრივ იყოფა ქვეკატეგორიებად. საანალიზოდ შერჩეული გამაძლიერებლების თარგმნის საკითხის განხილვისას ვეყრდნობი ესპანელი მკვლევრის, როსიო ბაროსის მიერ შემოთავაზებულ სტრატეგიებს (პროცედურებს), რომლებსაც იგი ინგლისური და ესპანური პარალელური ტექსტების ანალიზისას გამოყოფს. წარმოდგენილ კვლევაში გამოყენებულია შედარებითი მეთოდი. კერძოდ, გამოყოფილია ორი გამაძლიერებლის (amplifier) – *completely* და *totally* გამოყენების ყველა შემთხვევა წყარო ტექსტში (სულ-41 , მათგან *completely* -26 , *totally* - 15). შედარების მიზნით, ამოვწერე ყველა წინადადება წყარო ენაში და მისი შესაბამისი თარგმანი. თარგმნის პროცედურები განვიხილე შესაბამისი კონტექსტის გათვალისწინებით. კვლევაში ასევე გამოყენებულია რაოდენობრივი ანალიზის ელემენტები. განსაზღვრულია თითოეული გამაძლიერებლის გამოყენების სიხშირე. ასევე განსაზღვრულია, თუ პროცენტურად რომელ პროცედურას მიმართავს ყველაზე ხშირად მთარგმნელი მათი ქართულ ენაზე გადატანისას.

ნაშრომში საანალიზოდ შერჩეულია ჯეინ ოსტინის რომანი „ემა“ და მისი ქართული თარგმანი, რომელიც ეკუთვნის ანა მაცაშვილს [2016]. ზოგადად, ოსტინის ტექსტები გამოირჩევა ადვერბიალური გამაძლიერებლების გამოყენების მაღალი სიხშირით. ამ მხრივ არც ეს რომანია გამონაკლისი. მასზე არჩევანი სწორედ ამ მიზეზით შევაჩერე. როგორც ზემოთ აღინიშნა, საანალიზოდ გამოვყავი ორი გამაძლიერებელი (amplifier).

ნაშრომი შედგება შესავლისგან, სამი თავისგან, დასკვნისა და დანართისგან. თავები იყოფა ქვეთავებად.

პირველ თავში მიმოხილულია ზმნიზედი, როგორც მეტყველების ნაწილი, მისი ფუნქცია და წარმოების მოდელები ინგლისურ და ქართულ ენაში. ყურადღება გამახვილებულია ზმნიზედურ გამაძლიერებელზე, მის ფუნქციასა და გამოყენების არეალზე. წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებული ლინგვისტური, სოციოლინგვისტური კვლევების შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. ასევე მოცემულია ზმნიზედური გამაძლიერებლების სხვადასხვა ტიპოლოგია.

გამოყოფილია კვერკის მიერ წარმოდგენილი კლასიფიკაცია.(1973) აღწერილია გამაძლიერებლების როლი ლიტერატურაში. მეორე თავში განხილულია ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნის პრობლემა. წარმოდგენილია თარგმანის ტიპების და თარგმანმცოდნეობის ძირითადი საკითხების მოკლე მიმოხილვა. ყურადღება გამახვილებულია ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნის სტრატეგიებზე.

მესამე თავი ეძღვნება ჯეინ ოსტინის რომანში „ემა“ მოცემული ორი გამაძლიერებლის (*completely* და *totally*) და სამიზნე ტექსტში მათი გადატანისას გამოყენებული სტრატეგიების/პროცედურების კვლევას. პირველ რიგში, წარმოდგენილია ჯეინ ოსტინის შემოქმედების და მისი ტექსტების სტილის მახასიათებლების მიმოხილვა. როგორც აღინიშნა, შერჩეული გამაძლიერებლების თარგმნის საკითხი როსიო ბაროზის მიერ გამოყოფილი თარგმანის პროცედურების საფუძველზე.

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში ეხება ზმნიზედური გამაძლიერებლების თარგმნის თავისებურებას. მასში განხილულია გამაძლიერებლების სხვადასხვა ტიპოლოგია და ფუნქცია. ყურადღება გამახვილებულია მათ როლზე ლიტერატურულ ტექსტში.

ნაშრომში წარმოდგენილია სტრატეგიები და პროცედურები, რომლებიც ზმნიზედური გამაძლიერებლის თარგმნისას გამოიყენება. კვლევაში საანალიზოდ შერჩეულია ჯეინ ოსტინის რომანში 'ემა' გამოყენებული გამაძლიერებლის ერთ-ერთი ტიპი, კერძოდ, მაქსიმიზატორები *completely* და *totally*. განხილულია ამ გამაძლიერებლების წყარო ტექსტში გამოყენების ყველა შემთხვევა და მათი თარგმნის თავისებურება.

Adverbial Intensifiers in Literature and their Translation (according to the Georgian translation of *Emma* by Jane Austen)

The thesis deals with the problem of translation of adverbial intensifiers. It provides an overview of different typologies of intensifiers, placing emphasis on maximizers, as well as of strategies and procedures used in their translation. Special attention is devoted to the function of intensifiers in literature.

The thesis provides an analysis of translation of maximizers according to Jane Austen's novel *Emma*. Two maximizers, *completely* and *totally* have been chosen for the present study. All instances of the use of each of the maximizers has been studied. Comparative analysis has been conducted to determine the procedures used in their translation.